

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 28

ქ.თბილისი

2020 წლის 12 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 12 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა და მატჩის მთავარი მსაჯის გ. ლემონჯავას წითელი ბარათის ოქმი, ამა წლის 8 თებერვალს, I ლიგაში, თბ. „ივერია ვარკეთილი“-სა და პატარძელის „ვეფხვები“-ს შორის მატჩის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. თბ „ივერია ვარკეთილი“-ს მორაგბე გიორგი ბუბუნაური - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.4 პუნქტით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „ივერია ვარკეთილი“-ს მორაგბე გიორგი ბუბუნაური დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 12 მარტამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ივერია ვარკეთილი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/